სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-050801

ქ. თბილისი

08 მაისი **2018** წ.

ერთის მხრივ, **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის, ნინო თანდილაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ლიკა-2011 (ს/კ 445388946),** წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ჩხუბაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის , საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ,ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტში (ქ. ბათუმი, რუსთაველის 51) სველი წერტილის რემონტისთვის სამეურნეო საქონლის შესყიდვა, კერძოდ: ცხელი წყლის მილი კომპოზიტი თეთრი (44410000 - ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის), ქურო 20მმ (44165300 - მილის ქუროები), პლასმასის ქურო 20*1/2გ.ხ (44165300 - მილის ქუროები),გადამყვანი ნიპელი 1/2*1/2 (44167111 მილტუჩას გადამყვანები), მუხლი 20მმ (44134000 - მუხლები), პლასტმასის მუხლი 20მმ 45% (44134000 - მუხლები), გადამყვანი 25-20-ზე (44167111 - მილტუჩას გადამყვანები), შემრევი ონკანი (44411100 - ონკანები), სამზარეულოს ნიჟარა უჟანგავი ფოლადის (780X430X230MM) (44411300 - პირსაბანი ნიჟარები), პაკლი 19მმ*15მმ*0.2 (44424200 - წებოვანი ლენტები), სარქველი (31711400 - სარქველები და მილები), პლასტმასის მილის სამაგრი ჩამკეტით (44530000 - დამჭერები), უნიტაზის სახურავი (44411720 - უნიტაზის სახურავები), საკეტის მექანიზმი (44410000 - ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის), მოქნილი მილი 60სმ (44410000 - ნივთები აბაზანებისა და სამზარეულოებისათვის) შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **348.50 (სამას ორმოცდარვა ლარი და 50 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2018 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტი რამაზ მიქელაძე.

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ფაქტობრივ მისამართზე: **ქ.ბათუმი, პუშკინის N5.**

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.

8. გარანტია

8.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში.

8.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა გავლენას არ ახდენს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9 პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გადახდის ეტაპზე გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13 ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

16 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19 დამატებითი პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“	შპს „ლიკა-2011“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.	ს/კ 445388946
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	ფაქ.მის: ქ.ბათუმი, პუშკინის ქ.N5
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	კოდი: TBCBGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE 79 TB 7795 4360 2010 0001
ტელ: 243 95 45	ტელ.: 571 94 01 01
ნინო თანდილაშვილი	ირაკლი ჩხუბაძე
სააგენტოს უფროსი	დირექტორი

შეთანხმებულია:

2018 წლის 08 მაისს N01-050801 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	CPV	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
1	ცხ. წყლის მილი PPP 25-3.5 PN 20 თეთრი კომპოზიტი	44410000	მეტრი	28	1.8	50.4
2	პლასმასის ქურო 20	44165300	ცალი	5	0.3	1.5
3	პლასტმასის ქურო 20x1/2 გ.ხ.	44165300	ცალი	5	2	10
4	გადამყვანი 1/2*1/2 გ/გ (ნიპელი)	44167111	ცალი	5	1	5
5	მუხლი 20 მმ 90 გრ PPR	44134000	ცალი	20	0.3	6
6	პლასმასის მუხლი 20 45º	44134000	ცალი	1	0.3	0.3
7	გადამყვანი 25*20	44167111	ცალი	1	0.3	0.3
8	შემრევი ონკანი 4505	44411100	ცალი	1	100	100
9	სამზარეულოს ნიჟარა უჟანგავი ფოლადის (780X430X230MM	44411300	ცალი	1	110.00	110.00
10	პაკლი 19mm*15mt* 0.2mm MAXI	44424200	ცალი	1	3	3
11	სარქველი 1205	31711400	ცალი	1	8	8
12	პლასმასის მილის სამაგრი ჩამკეტით 20 სერი	44530000	ცალი	20	0.3	6
13	უნიტაზის სახურავი ლუქსი	44411720	ცალი	1	18	18
14	საკეტის მექანიზმი	44410000	ცალი	1	20	20
15	მოქნილი მილი 1/2-1/2 60სმ შ	44410000	ცალი	2	5	10
	სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით					348.50 (სამას ორმოცდარვა ლარი და 50 თეთრი) ლარი

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

ნინო თანდილაშვილი
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „ლიკა-2011“

ირაკლი ჩხუბაძე
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „ლიკა-2011“-ს შორის 2018 წლის 08 მაისს №01-050801 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ნინო თანდილაშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ნიკოლოზ ქართველიშვილი

_____ არჩილ გუჩმანიძე

_____ რამაზ მიქელაძე

_____ თამარ ყარსიმაშვილი